NANO
SCHALIPRODUCT
LASER

საერთო მასტიმულირებელი და ანტიოქსიდანტური მოქმედებისთვის, ქრონიკული დაღლილობის სინდრომის თავიდან ასაცილებლად ინკაფსულირებული დიეტური დანამატის ბიოკომპლექსის – SCHALI® D-4

გამოყენების ინსტრუქცია

NANO SCHALIPRODUCT LASER

საერთო მასტიმულირებელი და ანტიოქსიდანტური მოქმედებისთვის, ქრონიკული დაღლილობის სინდრომის თავიდან ასაცილებლად ინკაფსულირებული დიეტური დანამატის ბიოკომპლექსის – SCHALI® D-4 გამოყენების ინსტრუქცია

გამოშვების ფორმა:

მოხმარებისთვის მზა, დიეტური დანამატის ფხვნილი.

დანიშნულება:

განკუთვნილია თავისუფალ რადიკალებთან ბრძოლისა და ლიზოსომალური ფუნქციისა და ავტოფაგიის რეგულირებისთვის, გონებრივი და ფიზიკური აქტივობის სტიმულირებისთვის. ინკაფსულირებული დიეტური დანამატის ბიოკომპლექსი SCHALI®-D4 შეიძლება გამოიყენებოდეს ენერგოგაცვლის აღსადგენად, ფიზიკური აქტივობისა და ამტანობის გასაზრდელად როგორც დამოუკიდებლად, ასევე კომპლექსური თერაპიის სახით და ნივთიერებათა ცვლის ასაკობრივი დაავადებების, ნეიროდეგენერატიული დარღვევების, ქრონიკული დაღლილობის სინდრომის მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის.

დიეტური დანამატის ბიოკომპლექსი SCHALI®-D4 ასევე რეკომენდებულია ჯანმრთელი, აქტიური ცხოვრების წესის მიმდევარი ადამიანებისთვის მათი სასიცოცხლო ძალების აქტივაციისა და ნივთიერებათა ცვლის გაუმჯობესებისთვის, ასევე ორგანიზმის დასაცავად ყოველდღიური სტრესისა და გარემოს არახელსაყრელი ზემოქმედებისგან.

შემადგენლობა: (ძირითადი აქტიური ინგრედიენტები)

- ციკლომალტო–ოქტოზა ან გამა–ციკლოდექსტრინი (γCD)
- ციკლომალტო–ჰექსაზა ან ალფა–ციკლოდექსტრინი (αCD)
- კოენზიმი Q10 ან უბიქვინონი

მოქმედების მექანიზმი:

ბიოკომპლექსის აქტიური ციკლოდექსტრინის ინგრედიენტები ადვილად იხლიჩება ადამიანის ამილაზას მიერ წრფივ ოქსო–საქარიდებად, მოქმედებს გლიკოგენის ფოსფორილოზის ინჰიბიტორების სახით, ზღუდავს ამილოლიტიკურ დაშლას, ძლიერად ახდენენ საკვების შემცველი ცხიმების, ცხიმოვანი მჟავების, ტრიგლიცერიდების იმობილიზაციას, აღადგენენ სისხლში შაქრის სათანადო დონის შენარჩუნებას. ციკლოდექსტრინების ღრუში ინკაფსულირებული კოენზიმი Q10 ზემოქმედებს ტრანსკრიფციულ ფაქტორზე EB და ასტიმულირებს გაწმენდას დაგროვილი პროტეოლიპიდებისგან, რომლებიც წარმოიქმნენ ლიზოსომა–ავტოფაგის სისტემის არასაკმარისი აქტივობის შედეგად ლიზოსომების შენახვის დარღვეული უნარის მქონე უჯრედებში. კოენზიმი Q10 წარმოადგენს მიტოქონდრიული სასუნთქი ჯაჭვის განუყოფელ ნაწილს და მისი დამატებითი შეყვანა იწვევს მიტოქონდრიულ ფუნქციაზე ზემოქმედების გაძლიერებასა და შესაბამისად, ხელს უწყობს უჯრედების ფუნქციის გაძლიერებასა და ორგანიზმის ენერგეტიკული ბალანსის აღდგენას, უჯრედულ დონეზე დაბერების პროცესების შენელებით.

ინკაფსულირებული დიეტური დანამატის ბიოკომპლექსი SCHALI®-D4 მიმართულად ზემოქმედებს უჯრედული ავტოფაგიის დარღვევებზე ან დერეგულაციაზე, რაც დაკავშირებულია ნეიროდეგენერატიული ასაკობრივი დარღვევების (ალცჰეიმერის დაავადება, სიბერის დემენცია, პარკინსონის დაავადება) განვითარებასა და პროგრესირებასთან, ასევე ახდენს მდგრად დადებით ეფექტს ანტიოქსიდანტურ აქტივობაზე, ჟანგბადის რეაქტიული სახეობების საშიში მაღალი კონცენტრაციის თავიდან აცილებით, განსაკუთრებით, ხანდაზმულ ასაკში.

უკუჩვენებები:

უკუჩვენებები არაა გამოვლენილი, ვინაიდან ბიოკომპლექსის ინგრედიენტები ლოკალურად მოქმედებენ და არ აღწევენ სისხლში, არ ურთიერთქმედებენ სამკურნალო საშუალებებთან. არ იწვევენ დამოკიდებულებას. არ ჩნდება შეწყვეტის სინდრომი.

ნივთიერებათა ცვლის ასაკობრივი დაავადებების, ნეიროდეგენერატიული დარღვევების, ქრონიკული დაღლილობის სინდრომის დროს SCHALI® სერიის ინკაფსულირებული ბიოკომპლექსებისა და ექიმის დანიშნული სამკურნალო საშუალებების პარალელური კომპლექსური მიღებისას აუცილებელია დანიშნული სამკურნალო საშუალებების დოზირების კორექტირება ექიმის კონტროლის ქვეშ.

მიღების წესი:

ახალგაზრდა, ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმდევარი ადამიანებისთვის რეკომენდებულია 30–60 დღის განმავლობაში 1 გ პროდუქტის მიღება სასიცოცხლო ძალებისა და ენერგიის ხელშეწყობისთვის, 1–2–ჯერ დღეში, ჭამამდე 15 წუთით ადრე, წყლის დაყოლებით. რეკომენდებულია მიღების კურსების რეგულარული გამეორება მთელი წლის მანძილზე.

საშუალო ასაკის აქტიური ადამიანებისთვის, რომლებსაც ჯანრმთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება სურთ, რეკომენდებულია 30–60 დღის განმავლობაში 1 გ პროდუქტის მიღება 1–3–ჯერ დღეში, ჭამამდე 15 წუთით ადრე, წყლის დაყოლებით. რეკომენდებულია წლის განმავლობაში არანაკლებ 2 კურსის ჩატარება.

ინტენსიური ფიზიკური დატვირთვების შემთხვევაში, ხშირი ფრენებისას და მგზავრობისას, ასევე ქრონიკული დაავადებების შემთხვევაში, რეკომენდებულია მიღება 60–90 დღის განმავლობაში 1–2 გ პროდუქტის მიღება 1–3–ჯერ დღეში, ჭამამდე 15 წუთით ადრე, წყლის დაყოლებით. რეკომენდებულია მიღების კურსების რეგულარული გამეორება მთელი წლის მანძილზე.

ნივთიერებათა ცვლის სისტემური დაავადებების (კარდიოლოგიური პათოლოგიები, ნერვულ–დეგენერატიული დარღვევები, გაცხიმოვნება, ქრონიკული დაღლილობა, შაქრიანი დიაბეტი და ა.შ.) კომპლექსური თერაპიისას რეკომენდებულია 60–120 დღის განმავლობაში 1–2 გ პროდუქტი მიღება 1–3–ჯერ დღეში, ჭამამდე 15 წუთით ადრე, წყლის დაყოლებით. რეკომენდებულია მიღების კურსების რეგულარული გამეორება მთელი წლის მანძილზე.

ვარგისიანობის ვადა და შენახვის პირობები:

ვარგისიანობის ვადა – 2 (ორი) წელი. შეინახეთ დაუზიანებელ შეფუთვაში არაუმეტეს +25°C ტემპერატურაზე.